საქართველოს
პარლამენტის
კვლევითი
ცენტრი

ალიმენტზე გადაწყვეტილების აღსრულების თავისებურებანი

(შედარებითსამართლებრივი
ანალიზი)

2021

ავტორი
მარიამ გაიპარაშვილი

შინაარსი

ალიმენტზე გადაწყვეტილების აღსრულების თავისებურებანი 2
ევროკავშირის წევრი ქვეყნები..... 2
ბელგია..... 2
გერმანია..... 3
ირლანდია..... 3
საფრანგეთი 3
ფინეთი..... 4
შვედეთი..... 4
ჰოლანდია..... 5
გაერთიანებული სამეფო 5
ამერიკის შეერთებული შტატები..... 5
კალიფორნია 6
კოლორადო..... 6
მიჩიგანი..... 6
კანადა..... 7
შეჯამება 8

ალიმენტზე გადაწყვეტილების აღსრულების თავისებურებანი
(შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

პარლამენტის კვლევითმა ცენტრმა სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების მიზნით შეკითხვით მიმართა ECPRD-ს (The European Centre for Parliamentary Research and Documentation) და გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, სსიპ პარლამენტის კვლევითმა ცენტრმა დამოუკიდებელი შედარებითსამართლებრივი კვლევა ჩაატარა. შესაბამისად, დოკუმენტი მოიცავს იმ რეგულაციებს, რომელიც ყველაზე ეფექტურად არის მიჩნეული მსოფლიოს მასშტაბით ალიმენტის საკითხის რეგულაციების თაობაზე.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები

ალიმენტის და სარჩოს ოდენობის განსაზღვრისა და გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს ევროკავშირის წევრი ქვეყნები ინდივიდუალურად არეგულირებს. ზოგადი რეგულაცია არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში მაცხოვრებელ პირებს შორის გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე.[1]

ბელგია

კრედიტორს სააღმსრულებლო ფურცლის (*enforcement order*) მეშვეობით შეუძლია სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება - დებეტორის, რომელიც სარჩოს თავს არიდებს, უძრავი ან მოძრავი ქონების რეალიზაციის გზით.[2] ამასთან, შესაძლოა ყადაღა (*garnishee order*) იყოს გამოყენებული, დებეტორის დამსაქმებლის მიმართ.[3] ბელგიაში არსებობს აღსრულების ერთგვარი გამარტივებული მექანიზმი, რომლის მიხედვითაც კრედიტორს, გარკვეული ლიმიტის ფარგლებში, აქვს უფლებამოსილება პირდაპირ მიიღოს თანხა იმ მესამე პირებისგან, რომლებიც ვალდებულნი არიან დებეტორის წინაშე.[4] ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ პირი, რომელიც 2 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავს არიდებს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებულს პასუხისმგებლობას, შესაძლოა პასუხისგებაში იყოს მიცემული.[5]

ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებების მიუხედავად, თუ კრედიტორის მოთხოვნა წარუმატებელია, მას შეუძლია მიმართოს სპეციალურ დეპარტამენტს (*Maintenance Claims Department/Service des créances alimentaires*), რომლის პირდაპირ პასუხისმგებლობაშია ალიმენტის გადაწყვეტილების აღსრულება. ამ მიზნით, მათ შესაძლოა, თავად დაფარონ სარჩო, სანამ ამის აღსრულება დებეტორის ქონებიდან მოხდება.[6]

1. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://europa.eu/youreurope/citizens/family/couple/maintenance/index_en.htm

2. Article 1494 of the Judicial Code, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.ejustice.just.fgov.be/eli/wet/1967/10/10/1967101056/justel

3. Article 1539 of the Judicial Code, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.ejustice.just.fgov.be/eli/wet/1967/10/10/1967101056/justel

4. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-be-en.do?member=1

5. იქვე

6. იქვე

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, აღსრულების წესები ალიმენტისა და სხვა გადაწყვეტილებების თაობაზე საერთოა.[7] თუმცა, ალიმენტისთვის თავის არიდების შემთხვევაში დამატებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა (3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა) გათვალისწინებული. როგორც წესი, კრედიტორი თავადვეა პასუხისმგებელი მონიტორინგი გაუწიოს აღსრულების პროცესს. თუმცა, არსებობს სპეციალური ორგანო (*Youth Welfare Office*), რომელიც ამ პროცესში ეხმარება ბავშვებს სამოქალაქო კოდექსის 1712 მუხლის თანახმად. ამასთან, არსებობს სპეციალური კანონმდებლობა (t*he Maintenance Advances Act/Unterhaltsvorschussgesetz*– UVG), რომელიც ეხება სარჩოს გადაუხდელობის შემთხვევებს.[8]

ირლანდია

თუ დებეტორი სარჩოს არ იხდის, კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სააღსრულებლო ფურცლის (*Enforcement Order*) გაცემა.[9] ამასთან, შესაძლოა გამოიცეს შემოსავლების დაყადაღების ბრძანება (*Attachment of Earnings Order*), რომლის თანახმად, დებეტორის დამსაქმებელი ვალდებულია ავტომატურად დაუქვითოს დებეტორს ხელფასი.[10] სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევებზე სასჯელად თავისუფლების აღკვეთაა განსაზღვრული.[11] აღნიშნული განაპირობა, სპეციალური კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებებმა. თავისუფლების აღკვეთაზე გადაწყვეტილებას პირველი ინსტანციის სასამართლო (*District Court*) იღებს.[12]

საფრანგეთი

თუ კრედიტორს აქვს სააღმსრულებლო ფურცელი (*enforcement order*), მას პირდაპირ შეუძლია მიმართოს ბეილიფს (*bailiff*), რომ სააღმსრულებლო ღონისძიებები გატარდეს დებეტორის ქონებაზე (გარდა ხელფასისა, რადგან ამისთვის საჭიროა

7. *Movable property can be attached (Pfändung) by the bailiff (Gerichtsvollzieher) (Section 808(1) of the Code of Civil Procedure). The cases in which this form of attachment is allowed are restricted by Sections 811–812 of the Code of Civil Procedure. The items listed in Section 811 of the Code are exempt. This does not apply to goods that have been purchased subject to reservation of ownership pending payment (Eigentumsvorbehalt) as provided in Section 811(2) of the Code. Sections 811a and 811b of the Code allow items of value that are classed as exempt under Section 811 to be replaced by items of lower value that perform the same function. The debtor's residence may be searched without his or her consent only on the basis of a search warrant issued by a judge (Section 758a of the Code of Civil Procedure).The attachment of claims is handled by the court in charge of enforcement proceedings. The attachment of earned income is subject to the exemptions set out in Sections 850 et seq. of the Code of Civil Procedure. How much of the debtor's earned income is exempt is determined not just by the debtor's income level, but also by how many people are legally entitled to receive maintenance from the debtor. As an aid to calculation, a table of exemption limits has been drawn up and included as an annex to Section 850c of the Code, which is used for determining the exemption limits. This table is reviewed at regular intervals and, where necessary, the level is adjusted. If enforcement is carried out on the basis of a maintenance claim or a claim arising from a wrongful act (unerlaubte Handlung) intentionally committed, Sections 850d and 850f of the Code of Civil Procedure allow the court in charge of enforcement proceedings, on application by the creditor, to set a different level of exemption from attachment. The debtor may likewise apply to have a different level set if he or she has special personal needs in accordance with Section 850f(1) of the Code of Civil Procedure. An account held by the debtor can be exempted from attachment in accordance with Section 850k of the Code of Civil Procedure. Such an account is known as an attachment-exempt account, or 'P account' (Pfändungsschutzkonto, or P-Konto),* წყარო: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-de-en.do?member=1

8. იქვე

9. *The District Court in making a maintenance order can direct that the payment under the order be made to the District Court clerk ...The Circuit Court may as part of its order direct that a maintenance order is payable through the District Court. The District Court has a fully computerised payments system for the receipt and transmission of payments received,* ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.citizensinformation.ie/en/birth_family_relationships/separation_and_divorce/maintenance_orders_and_agreements.html

10. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.treoir.ie/information/child-maintenance-information/

11. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.citizensinformation.ie/en/birth_family_relationships/separation_and_divorce/maintenance_orders_and_agreements.html; https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-ie-en.do?member=1

12. Civil Law (Miscellaneous Provisions) Act 2011, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.oireachtas.ie/en/bills/bill/2011/29/

გადაწყვეტილება). ბეილიფს აქვს ფართო საგამოძიებო უფლებამოსილებები, რომ იპოვოს დებეტორი და მისი ქონება. ბელიფის ხარჯებს ფარავს დებეტორი.[13] არსებობს რამდენიმე ძირითადი სააღმსრულებლო ღონისძიება: **პირდაპირი გადახდის პროცედურა** (*direct payment procedure*): ეს გულისხმობს ბოლო 6 თვის მანძილზე გადასახდელი სარჩოს მიღების საშუალებას. კერძოდ, ბეილიფი მიმართავს მესამე პირებს, დებეტორის დამსაქმებელს, ბანკს ან სხვა მესამე პირს, რომლის თანახმად, მათ დებეტორისთვის გადასახდელი თანხა პირდაპირ ბეილიფს უნდა გადაუხადონ;[14] **ყადაღა** (*garnishment*) - რომელიც ვრცელდება საბანკო ანგარიშებზე;[15] **მატერიალური ნივთების ჩამორთმევა/ყადაღა/რეალიზაცია** (*attachment for sale*);[16] **უძრავი ქონების ყადაღა** (*attachment of immovable property*), თუმცა უძრავი ქონების რეალიზაციას სჭირდება აღმასრულებელი მოსამართლის (*enforcing judge/juge de l'exécution*) ავტორიზაცია;[17] დაქვითვა (*attachment of earnings*).[18]

სისხლის სამართლის კუთხით კი, დებეტორი შესაძლოა პასუხისგებაში მიეცეს ოჯახის მიტოვების მუხლით (*desertion of the family*), რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლის ვადით და €15 000 ოდენობის ჯარიმით.[19]

ფინეთი

თუ პირი არ იხდის სასამართლოს მიერ დაკისრებულ სარჩოს (*maintenance allowance*), ფინეთის სოციალური დაზღვევის ინსტიტუტს (*Social Insurance Institution of Finland, Kela*) აქვს გადაწყვეტილების აღსრულების უფლებამოსილება.[20]

ჰოლანდიის მსგავსად, სარჩოს მიმღებს აქვს უფლება ბეილიფს (*bailiff*) მოსთხოვოს გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც ამას ფინეთის აღსრულების კანონი ითვალისწინებს (*Enforcement Act*). ამ პროცედურას ზედამხედველობას უწევს აღსრულების ბიურო ყოველგვარი საფასურის გარეშე.[21]

შვედეთი

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უფლებამოსილება აქვს აღსრულების სამსახურს (*Kronofogdemyndigheten*). ამისათვის საკმარისია წერილობითი აპლიკაცია, რომელსაც ადასტურებს, კანონმდებლობის თანახმად, სარჩოსთან დაკავშირებული ორი პირი.[22]

---

13. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-fr-en.do?member=1

14. Articles L 213-1 and R 213-1 of the code of civil enforcement procedures (code des procédures civiles d'exécution), ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.legifrance.gouv.fr/codes/texte_lc/LEGITEXT000025024948/

15. Articles L 211-1, L 162-1, R 211-1 and R 162-1, იქვე

16. Articles L 221-1 and R 221-1, იქვე

17. Articles L 311-1 and R 311-1, იქვე

18. Articles L 3252-1 and R 3252-1 et seq. of the employment code (code du travail), ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006072050/LEGISCTA000018487324/#LEGIARTI000018533764

19. Article 227-3 of the criminal code (code penal), ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.legifrance.gouv.fr/codes/section_lc/LEGITEXT000006070719/LEGISCTA000006165318/#LEGIARTI000041398585

20. *If a party entitled to maintenance receives child maintenance benefit from Kela owing to a failure to pay the maintenance allowance, that party may not take action to recover maintenance payments. If Kela is paying a child maintenance benefit, it will assume the right to the maintenance allowance, equivalent to the portion it has paid in child maintenance benefit (right of recourse) (Child Maintenance Act 580/2008, Section 19). If the agreed maintenance allowance is a larger sum than the child maintenance benefit paid by Kela, and the party with the obligation to pay maintenance fails to pay maintenance, Kela will pay the full child maintenance benefit and recover the unpaid maintenance allowance in its entirety from that party. If the outcome is successful, Kela will pay the difference between the maintenance allowance and the child maintenance benefit to the parent having custody of the child following recovery of the debt.* დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-fi-en.do?member=1

21. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.ulosottolaitos.fi/en/

22. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-se-en.do?member=1

ჰოლანდია

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი არ იხდის სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებას (*the maintenance obligation*), აღსრულება შეიძლება გააკეთოს სპეციალურმა სამსახურმა (National Bureau for the Collection of Maintenance Payments, LBIO), თუ მას კრედიტორი (ალიმენტის მიმღები) მიმართავს.[23] ეს მომსახურება უფასოა სარჩოს მიმღებისათვის, თუმცა გაწეულ ხარჯებს მოგვიანებით დებეტორი ანაზღაურებს. ამასთან, აღსრულება ასევე შეუძლია ბეილიფს (*bailiff*).[24]

გაერთიანებული სამეფო

ინგლისსა და უელსში, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუძლია დაავალოს დებეტორს, რომ მან სარჩოს გადახდა სასამართლოს მეშვეობით განახორციელოს და საჭიროების შემთხვევაში დააყადაღოს/დაქვითოს მისი ქონება.[25] ამასთან, ინგლისში არსებობს ბავშვებისთვის სარჩოს გადახდისა და აღსრულების თაობაზე სპეციალური კანონმდებლობა.[26]

ავსტრიის მსგავსად,[27] ინგლისშიც არსებობს სპეციალიზებული ორგანო (*Child Maintenance Service, CMS*),[28] რომელიც სათანადო ფართო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი,[29] რომ ბეილიფის დახმარებით მოახდინოს გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში აღსრულება, თუ ერთი მშობელი არ ასრულებს ვალდებულებას.[30] მაგალითად, დებეტორისათვის საბანკო ანგარიშებზე/ანაბრებზე არსებული თანხის ჩამორთმევა და საქმის სასამართლოში წაღება (*enforcement action*).[31] საჭიროების შემთხვევაში, ისინი სასამართლოს წინაშე ითხოვენ დებეტორისათვის პასპორტის ან/და მართვის მოწმობის ჩამორთმევას ან მისთვის თავისუფლების აღკვეთას.[32]

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურ დონეზეა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ბავშვისთვის სარჩოს გადახდის მონიტორინგისა და აღსრულების საკითხში ჩართულია სპეციალური ორგანო, რომლის ქვედანაყოფი არსებობს ყველა შტატში (*state child support enforcement agencies*).[33] ამასთან,

23. *The LBIO may, if necessary, proceed to collection by means of levying execution. The LBIO may, for example, attach the salary, benefits or immovable or movable property of the maintenance debtor*, დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.lbio.nl/

24. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-nl-en.do?member=1

25. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-ew-en.do?member=1#toc_10

26. Child Maintenance and other payments act 2008, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.legislation.gov.uk/ukpga/2008/6/notes

27. *the child and youth welfare service can act as the child's representative to establish or enforce the minor's maintenance claims,* დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-at-en.do?member=1#toc_10

28. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.gov.uk/manage-child-maintenance-case

29. *With a Court-obtained* ***liability order,*** *the CMS may take the a range of enforcement action. In England and Wales these powers include using bailiffs to take control of goods and applying to the court for an order of sale of an asset, once it is registered by a court. In Scotland, powers include requesting a sheriff to make a charge of payment to require payment after 14 days, or freezing assets to prevent them being sold or transferred,* დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-7774/

30. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/911406/withdrawn-if-child-maintenance-isnt-paid.pdf

31. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.nidirect.gov.uk/articles/legal-action-child-maintenance-service-can-take; https://www.nidirect.gov.uk/articles/enforcement-non-payment-child-maintenance

32. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://e-justice.europa.eu/content_maintenance_claims-47-ew-en.do?member=1#toc_10

33. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.acf.hhs.gov/css; https://www.findlaw.com/family/child-support/state-specific-child-support-information-and-guidelines.html

ბავშვის რჩენის საკითხს და გადაწყვეტილების აღსრულებას ფედერალური კანონმდებლობა აწესრიგებს.[34]

თავდაპირველად ბავშვისთვის გადასახდელი სარჩოს/ალიმენტის (*child support*) თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საოჯახო სასამართლო (*family court*) და შემდეგ ის როგორც წესი სააგენტოსთან ერთად მუშაობს, რომ სწრაფად და ეფექტურად აღსრულდეს გადაწყვეტილება. თუ დებეტორი (*deadbeat parent*) თავს არიდებს პასუხისმგებლობას, სააგენტოს აქვს უფლება ჩამოართვას მას შემოსავალი, კერძო საკუთრება, უძრავი ქონება და გამოიყენოს აღსრულების სხვა მექანიზმები.[35]

თვალსაჩინოებისთვის, ქვემოთ განხილული იქნება რამდენიმე შტატის შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომელიც თანხვედრაშია ფედერალურ მიდგომასთან.

კალიფორნია

კალიფორნიაში არსებობს სპეციალური ორგანო (*local child support agency*), რომელიც ეხმარება სარჩოს მიმღებს ალიმენტის მიღებაში.[36] მშობელთა ვალდებულება არჩინონ ბავშვები, დარეგულირებულია კანონითა და პრაქტიკით.[37]

კალიფორნიაშია არსებული სპეციალური ორგანოს (*The California Department of Child Support Services, DCSS*) მოვალეობაა ალიმენტის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.[38] ორგანო იყენებს აღსრულების სხვადასხვა მეთოდს და თუ მშობელი თავს არიდებს მოვალეობის შესრულებას, იწყებს სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობის საქმისწარმოებას.[39]

კოლორადო

კოლორადოს კანონმდებლობის თანახმად, თუ რჩენის ვალდებულების მქონე პირი მუშაობს, სასამართლოს მიერ გაცემული რჩენის ბრძანება (*child support orders*) მოიცავს, ხელფასის დაქვითვას (*wage garnishment*). როგორც წესი, დაქვითული ქონება სპეციალური ორგანოს (*Family Support Registry*) მეშვეობით გადაეცემა სარჩოს მიმღებს. შემთხვევები რთულდება, როდესაც მშობელი არ მუშაობს, არ აქვს სხვა შემოსავალი და ყველა შესაძლებლობას იყენებს, რომ თავი აარიდოს დაკისრებულ პასუხისმგებლობას. აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობას (*contempt of court*), რაც სასჯელის სახით 180 დღით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.[40]

მიჩიგანი

მიჩიგანის კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოს მეგობარი (*The Friend of the Court*) არის აღსრულებაზე (*enforcing a support order*) პასუხისგებელი. ამისათვის

34. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.justice.gov/criminal-ceos/child-support-enforcement; https://www.justice.gov/criminal-ceos/citizens-guide-us-federal-law-child-support-enforcement; https://www.govinfo.gov/content/pkg/GPO-CPRT-108WPRT108-6/pdf/GPO-CPRT-108WPRT108-6-2-8.pdf

35. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.findlaw.com/family/child-support/child-support-basics.html ; https://www.findlaw.com/family/child-support/child-support-enforcement.html; https://www.divorcenet.com/resources/child-support/enforcing-child-support/enforcing-child-support-options-dealing-non-payment; https://www.hg.org/child-support-payment-enforcement.asp

36. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.courts.ca.gov/selfhelp-support.htm?rdeLocaleAttr=en

37. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.familieschange.ca.gov/en/parents/child-support

38. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://childsupport.ca.gov/

39. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://childsupport.ca.gov/about-us/about-california-child-support-services/#enforce

40. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.plogsteinlaw.com/enforcing-child-support-orders.html

მათ რამდენიმე მექანიზმის გამოყენება შეუძლია, თუ ერთ-ერთი მშობელი არ ასრულებს მოვალეობას. მაგალითად, შემოსავლების დაკავება: სასამართლოს მეგობარი შემოსავლის გამცემს უგზვანის სპეციალურ შეტყობინებას (*income withholding notice, IWN*).[41]

თუ სარჩოს გადახდას დებეტორი ჯიუტად არიდებს თავს, სასამართლოს მეგობარი იწყებს სპეციალურ სასარჩელო წარმოებას (*civil contempt action known as a "show cause" hearing*). თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირი თავს არიდებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას მას შეუძლია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთაც გამოიყენოს. სასამართლო ასევე იყენებს აღსრულების სხვადასხვა მეთოდს.[42]

ასევე, **კონეკტიკუტში**, სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ყველა მხარე ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ხოლო, დაუმორჩილებლობას მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.[43]

კანადა

კანადაში საკვლევ საკითხს ორი ძირითადი კანონი არეგულირებს, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ აქტი[44] და სპეციალური კანონი, რომელიც ოჯახის რჩენის ვალდებულებების აღსრულებას ეხება.[45]

იმისთვის, რომ სარჩოს გადახდის აღსრულების პროცესი დაიწყოს, ამისთვის საჭიროა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება (*A support order from a court)*.[46] ამ გადაწყვეტილების აღსრულება კი ხდება, თითოეულ პროვინციაში/ტერიტორიულ ერთეულში არსებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამის/ოფისების (*Maintenance Enforcement Program*)[47] დახმარებით. ხსენებულ სპეციალურ ოფისებს აქვთ საკმაოდ ფართო უფლებამოსილება, რომ სწრაფად მოახდინონ გადაწყვეტილების აღსრულება ალიმენტის/სარჩოს გადახდის თაობაზე. მაგალითად, ხელფასის დაკავება, შემოსავლის დაქვითვა, ყადაღა, პასპორტისა და მართვის მოწმობის მოქმედების შეჩერება და სხვა.[48]

ონტარიოაში, სარჩოს გადაწყვეტილების აღსრულების პასუხისმგებლობა სპეციალურ სახელმწიფო ორგანოს (*Family Responsibility Office, FRO*) აკისრია.49 ეს ორგანო უწევს ზედამხედველობას გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს. კერძოდ, დებეტორი მისი მეშვეობით იხდის სარჩოს და გადახდილი ოდენობისა და ვადის მონიტორინგს, სწორედ FRO აკონტროლებს. დებეტორი თანხას უხდის

41. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.michigan.gov/documents/dhs/DHS-PUB-748_209001_7.pdf

42. იქვე, *The judge may also order one or more of the following: Enforcement methods such as liens, passport denial, license suspension, or a vehicle boot. Participation in a parenting program, a work program, or counseling for drugs, alcohol, or other issues. • Requirement to find employment. Compliance with a current support order, a parenting time order, or a payment plan for past-due support.*

43. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.jud.ct.gov/lawlib/Notebooks/Pathfinders/alimony/alimony.pdf

44. Court order enforcement act, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.canlii.org/en/bc/laws/stat/rsbc-1996-c-78/latest/rsbc-1996-c-78.html

45. Family maintenance enforcement act, ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.canlii.org/en/bc/laws/stat/rsbc-1996-c-127/latest/rsbc-1996-c-127.html

46. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.justice.gc.ca/eng/fl-df/enforce-execution/index.html

47. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.justice.gc.ca/eng/fl-df/enforce-execution/provpro.html

48. *garnishee wages, bank accounts and certain federal government payments such as income tax refunds and employment insurance benefits; seize personal or real property; require the party in default to file financial information; suspend or deny provincially issued licences such as a driver's licence, and ask the federal government to suspend passports and certain federal marine and aviation licences,* დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.justice.gc.ca/eng/fl-df/enforce-execution/pwr-pqr.html

49. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.ontario.ca/page/paying-and-receiving-child-and-spousal-support

ამ ორგანოს, რომელიც შემდეგ თანხას გადასცემს კრედიტორს. იმ შემთხვევაში თუ დებეტორი არ ასრულებს მოვალეობას, FRO იწყებს აღსრულების ღონისძიებების გამოყენებას.[50] აღსრულების ღონისძიებები საკმაოდ მრავალფეროვანია და ამის მიუხედავად თუ დებეტორი არ ემორჩილება გადაწყვეტილებას, ორგანოს საქმე მიაქვს სასამართლოში, რასაც, შესაძლოა დებეტორისთვის თავისუფლების აღკვეთა მოჰყვეს.[51]

შეჯამება

შედარებითსამართლებრივი კვლევა მიმოიხილავს საუკეთესო პრაქტიკას, რომელთა მთავარი მახასიათებლებია:

1. ალიმენტის გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე სპეციალური რეგულაციები არსებობს. აღსრულების მექანიზმები და გზები კი საკმაოდ მრავალფეროვანია (მაგ. იხ. **საფრანგეთი** და სხვა);
2. როგორც წესი, აღსრულების პროცესში ჩართულია დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც სპეციალიზებულია საოჯახო საკითხებში (მაგ. იხ. **გაერთიანებული სამეფო, აშშ, კანადა** და სხვა). ეს შესაძლოა იყოს აღსრულების სისტემის ნაწილი, თუმცა მათ ფუნქციაში მხოლოდ ალიმენტის/სარჩოს გადახდის მონიტორინგი და საჭიროებისას გადაწყვეტილების აღსრულებაა. ქვეყნების ნაწილი, აღსრულების პროცესში საოჯახო სამართალში სპეციალიზებული აღმასრულებელი ორგანოს ნაცვლად, ამ ფუნქციებს ოფიცერს/ბეილიფს აკისრებს;
3. ქვეყნების უმრავლესობაში, კანონმდებლობითაა გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების, მათ შორის ალიმენტის თაობაზე, აღუსრულებლობისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს ქცევა აღქმულია როგორც დაუმორჩილებლობა და სასამართლოსადმი უპატივცემულობა, ხოლო, პასუხისმგებლობა ძირითადად გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას, რომლის ვადაც ყველა ქვეყანაში განსხვავებულად რეგულირდება;
4. საფრანგეთის კანონმდებლობა დანაშაულის სპეციალურ ფორმად განსაზღვრავს ალიმენტის გადაუხდელობას და ოჯახის უზრუნველყოფის გარეშე მიტოვებას.

50. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://www.separation.ca/help-centre/child-support/enforcing-child-support/

51. დამატებითი ინფორმაცია იხ.: https://stepstojustice.ca/questions/family-law/how-does-fro-enforce-spousal-support

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედებითი და საზედამხედველო საქმიანობის მხარდასაჭერად. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ნაშრომის ავტორს და არ წარმოადგენს პარლამენტის ოფიციალურ პოზიციას. ნაშრომი დაცულია საავტორო უფლებით და დოკუმენტის ან მისი ნაწილის გამოყენება წყაროს მიუთითებლად, ასევე მისი გავრცელება, ასლების შექმნა და მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია ავტორის ნებართვის გარეშე.

ავტორი:

საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის
მთავარი მკვლევარი, მარიამ გაიპარაშვილი

Email: mgaiparashvili@parliament.ge